N 6-09
10/01/2023

6-09-3-202301101228

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ თემურ ყურშუბაძეს

ტყის მართვის სამსახურის უფროსის
ავთანდილ მახარაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო თემურ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის ,,ტყეთსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ'' N221 დადგენილების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე ტყეკაფების მონიშვნის დროს ჭრაში დანიშნული ხეები იდამღება ფესვის ყელთან მართვის ორგანოებთან შეთანხმებული იდენტიფიცირების დამღით, მდგრადი საღებავით ეწერება რიგითი ნომერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს შესაბამისი ბრძანების მომზადება, რომ 2023 წლისათვის ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს სატყეო ადმინისტრაციების შესაბამის სატყეოებში ჭრაში დანიშნული ხეების მონიშვნა განხორციელდეს შავი ფერის მდგრადი (ზეთოვანი) საღებავით.

ამის შემდეგ ეკონომიკურმა სამსახურმა უზრუნველყოს შავი ფერის მდგრადი (ზეთოვანი) 60 კგ. საღებავის შეძენა და ქობულეთის-10 კგ, ხელვაჩაურის-10კგ, ქედის,-10 კგ შუახევის-15 კგ და ხულოს-15 კგ სატყეო ადმინისტრაციებზე გაცემა.

პატივისცემით,

ავთანდილ მახარაძე

სამსახურის უფროსი
ტყის მართვის სამსახური